

2022 წ. 21-22 ნოემბერს ქ. თბილისში ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების თანამედროვე პრობლემები“.

გიწვევთ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად!

კონფერენცია ჩატარდება შერეული ფორმატით (ადგილზე/ონლაინ დასწრებით).

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ახალგაზრდა მეცნიერებს (ახალგაზრდა მეცნიერად ჩაითვლება - მაგისტრის/დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან გასულია არაუმეტეს 7 წელი, ასევე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის, დოქტორანტურის სტუდენტი), აგრეთვე, უფროსი თაობის მკვლევარებს ახალგაზრდა მეცნიერებთან თანაავტორობით, ამ შემთხვევაში მოხსენება უნდა გააკეთოს ახალგაზრდა მეცნიერმა.

კონფერენციის სამუშაო ენა - ქართული, ინგლისური. სტატიების წარდგენა ხდება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. ქართულენოვან სტატიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს რეზიუმე ასევე ინგლისურ ენაზე. ერთი ავტორის მიერ წარმოდგენილი სტატიების რაოდენობა არა უმეტეს 3-სა (თანდართული ფორმებით).

კონფერენციის მონაწილეები თავისუფალი არიან საორგანიზაციო ხარჯების გადახდისგან (კონფერენციის ჩატარება, კრებულის და პროგრამის ბეჭდვა, პოსტერების ბეჭდვა დაუსწრებელი მონაწილეებისათვის).

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი არ აფინანსებს მონაწილეების სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, სასტუმრო, დღეღამური ხარჯი).

კონფერენციის თემები

1. ატმოსფერული ქიმია, ატმოსფერული შემადგენლობა, ჰაერის დაბინძურება
2. მეტეოროლოგია, ატმოსფერული ფიზიკა და დინამიკა
3. კლიმატოლოგია და კლიმატის ცვლილება
4. ხმელეთის ეკოლოგია, მიწის საფარის ცვლილება
5. გეოლოგია, ტექტონიკა, ვულკანოლოგია
6. პალეოკლიმატოლოგია, პალეოეკოლოგია
7. დედამიწის წიაღის ფიზიკა, სეისმოლოგია, გეოდინამიკა
8. ოკეანოგრაფია (ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, გეოლოგიური)
9. ბიოგეოქიმია, ბიოგეოქიმიური ციკლები, გარემოს ქიმია
10. მინერალოგია, პეტროლოგია, მაგმური პეტროლოგია, მეტამორფული პეტროლოგია
11. გეოქიმია, კოსმოქიმია, კრისტალთა ქიმია, იზოტოპების გეოქიმია, თერმოდინამიკა
12. სედიმენტოლოგია, ნიადაგის მეცნიერება, პალეონტოლოგია, დედამიწის ევოლუცია
13. ფიზიკური გეოგრაფია, გეომორფოლოგია
14. დედამიწის დაკვირვება კოსმოსიდან/დისტანციური ზონდირება
15. გეომაგნეტიზმი, პალეომაგნეტიზმი

16. ოზონი, ზედა ატმოსფერო, იონოსფერო
17. ჰიდროლოგია, ჰიდროგეოლოგია, საინჟინრო და გარემოს გეოლოგია, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება
18. კრიოსფერო, თოვლისა და ყინულის საფარის დინამიკა, ზღვის ყინული, მარადმზრალი მიწა და ყინულის ფარები
19. პლანეტარული გეოლოგია და გეოფიზიკა
20. გეოლოგიური კატასტროფები და გეოსაფრთხეები
21. დედამიწის სისტემის მოდელირება და ურთიერთქმედება

კონფერენციის მიზნები

- ახალგაზრდა მეცნიერთა პოტენციალის გამოვლენა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების დარგში;
- მეცნიერთა სხვადასხვა თაობის კავშირების დამყარება და განმტკიცება;
- სამეცნიერო კვლევების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა;
- კონფერენციის თემის საკითხების მიმართ საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა;
- კონფერენციის თემის საკითხების გარშემო საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერება;
- მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, სამთავრობო სტრუქტურებისთვის, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირებისთვის იმ პრობლემების თანამედროვე მდგომარეობასთან გაცნობა, რომლებიც დაკავშირებულია დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების დარგებთან.

კონფერენციის ამოცანები

- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების დარგში მრავალწლიანი კვლევების შედეგების პრეზენტაცია პლენარულ სხდომაზე (ზეპირი/სტენდური/ვიდეო);
- სამეცნიერო კომიტეტის მიერ შერჩეული მოხსენებების პრეზენტაცია და მათი განხილვა პლენარულ, სასექციო სხდომებზე და სტენდური სახით.

სამიზნე ჯგუფები

- ქართული და უცხოური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ კონფერენციის თემატიკასთან.
- (უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები, საგანმანათლებლო ორგანიზაციები, საგანგებო სიტუაციების სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო კორპორაციები და სხვა).

მოსალოდნელი შედეგები

- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების დარგში ისტორიული და თანამედროვე მიღწევების პოპულარიზაცია;
- მსოფლიოს ფართო საზოგადოებისათვის იმ პრობლემების თანამედროვე მდგომარეობასთან გაცნობა, რომლებიც დაკავშირებულია დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებასთან;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება კონფერენციის თემატიკებთან დაკავშირებული თანამედროვე მიღწევების სამეცნიერო და პრაქტიკული გამოყენებისათვის;

- კონფერენციის თემატიკებთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური რისკების შეფასება და ამ რისკების პრევენციისათვის საერთო მოქმედებების ორგანიზების შესაძლებლობების გამოვლენა;
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების დარგში საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბაზის გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა.

კონფერენციის ორგანიზატორები

- თსუ, მიხეილ ნოდუას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი;
- სტუ, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი;
- თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი;
- თსუ, ალექსანდრე ჯანელიძეს სახ. გეოლოგიის ინსტიტუტი;
- საქართველოს გეოფიზიკური ასოციაცია.

მნიშვნელოვანი თარიღები

- განაცხადების და სტატიების მიღება (თანდართული ფორმებით) – 2022 წ. 10 ოქტომბრის ჩათვლით;
- სტატიების შერჩევა და შერჩეული სტატიების შესახებ შეტყობინების გაგზავნა - 2022 წ. 20 ოქტომბერი;
- პოსტერის ელექტრონული ვერსიის გამოგზავნა (დაუსწრებელი მონაწილეებისათვის) – 2022 წ. 15 ნოემბრამდე. დასწრებულად სტენდური მოხსენების შენთხვევეში პოსტერები იქონიეთ თან;
- პოსტერების ბეჭდვა - (დაუსწრებელი მონაწილეებისათვის) – 2022 წ. 15 ნოემბრამდე;
- ავტორთა შეტყობინება (პროგრამა და სხვ) - 2022 წ. 10 ნოემბრამდე;
- კონფერენციის შრომათა კრებულის გამოცემა - 2022 წ. 21 ნოემბრამდე;
- თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გეოფიზიკის ინსტიტუტის პორტალზე კონფერენციის შრომათა კრებულის და ცალკეული სტატიების ელექტრონული ვერსიის ატვირთვა - 2022 წ. 15 დეკემბრამდე;
- კონფერენციაზე რეგისტრაცია - 2022 წ. 21 ნოემბრამდე.

საკონტაქტო პირი:

მიხეილ ფიფია -ელ. ფოსტა: m.pipia@gtu.ge, მობ.: +995 593 55 65 11; +995 598 68 60 77